

შპს „აპტოს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. შეფასებების და განსჯის გამოყენება	16
5. ძირითადი საშუალებები	17
6. მარაგები	18
7. გაცემული სესხები	18
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19
10. საკუთარი კაპიტალი	20
11. სესხები და ნასესხები სახსრები	20
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
13. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	21
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
15. მარკეტინგული ხარჯები	22
16. ცვეთა, ამორტიზაცია და მარაგების თვითღირებულება	22
17. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკები	23
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია	24
19. გადავადებული შემოსავალი	25
20. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აპტოსის“ პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აპტოსის“ და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)
შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)
2023 წლის 2 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	13	56,522	44,995
გაცივებული საქონლის თვითღირებულება		(19,324)	(9,888)
საერთო მოგება		37,198	35,107
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(23,743)	(12,495)
მარკეტინგული დანახარჯები	15	(5,654)	(4,517)
სადისტრიბუციო დანახარჯები		(852)	(787)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვო	8	(776)	(841)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		659	773
სხვა საოპერაციო ხარჯები		(747)	(153)
საოპერაციო მოგება		6,085	17,087
ფინანსური შემოსავალი		93	178
ფინანსური ხარჯი		(1,401)	(911)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი		(4,104)	(2,568)
მოგება დაბეგვრამდე		673	13,786
მოგების გადასახადის დარიცხვა		(593)	(309)
წლის მოგება		80	13,477
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში (გადასახადის გამოკლებით)			
საკურსო სხვაობა უცხოური ოპერაციების სხვა ვალუტაში გადაყვანისას		(235)	(756)
წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		(155)	12,721

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა შპს „აპტოსის“ ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 2 ოქტომბერს და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირების მიერ:

გიორგი სულამანიძე

გენერალური დირექტორი

ამირან თევზაძე

ფინანსური დირექტორი

2023 წლის 2 ოქტომბერი

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	13	56,522	44,995
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(19,324)	(9,888)
საერთო მოგება		37,198	35,107
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(23,743)	(12,495)
მარკეტინგული დანახარჯები	15	(5,654)	(4,517)
სადისტრიბუციო დანახარჯები		(852)	(787)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვო	8	(776)	(841)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		659	773
სხვა საოპერაციო ხარჯები		(747)	(153)
საოპერაციო მოგება		6,085	17,087
ფინანსური შემოსავალი		93	178
ფინანსური ხარჯი		(1,401)	(911)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი		(4,104)	(2,568)
მოგება დაბეგვრამდე		673	13,786
მოგების გადასახადის დარიცხვა		(593)	(309)
წლის მოგება		80	13,477
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში (გადასახადის გამოკლებით)			
საკურსო სხვაობა უცხოური ოპერაციების სხვა ვალუტაში გადაყვანისას		(235)	(756)
წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		(155)	12,721

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა შპს „აპტოსის“ ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 2 ოქტომბერს და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირების მიერ:

გიორგი სულამანიძე

გენერალური დირექტორი

ამირან თევზაძე

ფინანსური დირექტორი

2023 წლის 2 ოქტომბერი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	35,050	33,490
არამატერიალური აქტივები		901	774
გაცემული სესხები	7	766	1,226
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	–	362
სხვა გრძელვადიანი აქტივები		326	–
		37,043	35,852
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	15,915	7,647
გაცემული სესხები	7	251	67
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	16,863	14,417
გადახდილი ავანსი		1,742	1,755
გადახდილი ავანსები		656	114
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	2,362	13,124
		37,789	37,124
სულ აქტივები		74,832	72,976
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	–	–
უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის რეზერვი	11	(1,056)	(821)
გაუნაწილებელი მოგება	11	59,005	59,262
სულ საკუთარი კაპიტალი		57,949	58,441
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები	10	5,041	7,889
გადავადებული შემოსავალი	19	390	390
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,431	8,279
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები	10	5,551	4,974
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	4,340	909
მიღებული ავანსები		1,561	16
სხვა ვალდებულებები		–	357
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11,452	6,256
სულ ვალდებულებები		16,883	14,535
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		74,832	72,976

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი
2020 წლის 31 დეკემბერი	–	(65)	46,822	46,757
წლის მოგება	–	–	13,477	13,477
სხვა სრული ზარალი	–	(756)	–	(756)
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი	–	(756)	13,477	12,721
პარტნიორების უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული გარიგებების შედეგად ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილი ზარალი (მე-7 შენიშვნა)	–	–	(205)	(205)
გამოცხადებული დივიდენდები (მე-11 შენიშვნა)	–	–	(832)	(832)
2021 წლის 31 დეკემბერი	–	(821)	59,262	58,441
წლის მოგება	–	–	80	80
სხვა სრული ზარალი	–	(235)	–	(235)
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი	–	(235)	80	(155)
გამოცხადებული დივიდენდები (მე-11 შენიშვნა)	–	–	(337)	(337)
2022 წლის 31 დეკემბერი	–	(1,056)	59,005	57,949

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოგება დაბეგვრამდე		673	13,786
კორექტირებები დაბეგვრამდე მოგების წმინდა ფულადი ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთის დანარიცხი		1,991	1,355
ამორტიზაციის დანარიცხი		28	27
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	8	776	841
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა)			
საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობებში		1,303	395
ფინანსური შემოსავალი		(93)	(178)
ფინანსური ხარჯი		1,401	911
საბრუნავი კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება მარაგებში		(8,268)	(2,303)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში		(542)	570
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(3,561)	(1,159)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		13	1,835
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,431	(1,031)
ცვლილება მიღებულ ავანსებში და სხვა ვალდებულებებში		1,188	(7)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(1,660)	15,042
გადახდილი მოგების გადასახადი		(593)	(309)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) / საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,253)	14,733
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,878)	(13,397)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(155)	(345)
სახელმწიფო გრანტების მიღება		702	1,048
გაცემული სესხი	7	–	(1,444)
გაცემული სესხების დაფარვა		40	38
მიღებული პროცენტი		93	155
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,198)	(13,945)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	10	2,820	4,167
ნასესხები სახსრების დაფარვა	10	(4,680)	(777)
გადახდილი პროცენტი		(1,387)	(891)
გადახდილი დივიდენდები	11	(337)	(832)
(საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული)/საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,584)	1,667
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(9,035)	2,455
წმინდა საკურსო სხვაობები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,727)	(1,728)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისი		13,124	12,397
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	9	2,362	13,124

5-25 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

შპს „აპტოს“ (შემდგომში „კომპანია“ და შვილობილ საწარმოსთან ერთად „ჯგუფი“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წლის 2 ოქტომბერს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია გ. ამილახვარის ქ. #15, თბილისი, საქართველო. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა პლასტიკურ ქირურგიაში გამოყენებული სახის და სხეულის ძაფების წარმოება და რეალიზაცია. 2022 და 2021 წლებში ჯგუფმა მის მიერ წარმოებული პროდუქცია 70-ზე მეტ ქვეყანაში გაყიდა.

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები იყვნენ:

	2022	2021
მარლენ სულამანიძე	34%	67%
გიორგი სულამანიძე	33%	33%
კონსტანტინ სულამანიძე	33%	—
	100%	100%

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავდა შემდეგი 100%-იანი შვილობილი საწარმოები:

შვილობილი საწარმოები	რეგისტრაციის ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	2022	2021
Aptos Global Germany GmbH	გერმანია	23-ნოე-2018	100%	100%
	არაბეთის გაერთიანებული საემიროები			
შპს „Aptos Co.“		07-მარ-2022	100%	—

„Aptos Global Germany GmbH“ და შპს „Aptos Co“ ახორციელებენ შპს „აპტოსის“ მიერ წარმოებული სახის და ტანის პლასტიკური კორექციის საშუალებების გაყიდვას ევროკავშირში და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, შესაბამისად.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში (ლ), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვალებადობით ხასიათდებოდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ემპირიული გავლენა 2022 წლის განმავლობაში გამოხატული იყო აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით ლარის გამყარებით, რაც საქართველოში გადმოსახლებული რუსეთის და უკრაინის მოქალაქეების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადარიცხვების ზრდის შედეგია. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება საბოლოოდ ეს ჯგუფის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

კონსოლიდაციის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს ინვესტირებულ საწარმოზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტირებულ საწარმოში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტირებულ საწარმოზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში ფლობს ხმის ან სხვა მსგავსი უფლების უმრავლეს ნაწილზე ნაკლებს, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- სახელშეკრულებო შეთანხმება ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან;
- სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს მასზე კონტროლს და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს ამგვარ კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც მშობელი საწარმოს ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის ელიმინირებული.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი საწარმოს აქციონერებსა და არამაკონტროლებელი პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არამაკონტროლებელი პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები კორექტირდება მათი სააღრიცხვო პოლიტიკის ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქცითება.

შვილობილი საწარმოს საკუთრების წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არამაკონტროლებელი წილის და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება

ამონაგები განისაზღვრება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების საფუძველზე და გამორიცხავს მესამე პირების სახელით მიღებულ თანხებს. ჯგუფი ამონაგებს აღიარებს იმ მომენტში, როდესაც ის პროდუქტზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, ე.ი. როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, ის მთლიანად ეუფლება საქონელს და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რამაც შეიძლება იმოქმედოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება წარმოიშობა მაშინ, როდესაც საქონელი მიეწოდება კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე, დამკველების და დაკარგვის რისკები გადაეცემა მომხმარებელს, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ვადა გაუვა მიღების დებულებებს, ან ჯგუფს ექნება ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ დაკმაყოფილდა მიღების ყველა კრიტერიუმი. ჯგუფმა ზოგადად დაასკვნა, რომ ის პრინციპალია შემოსავლების მომტან გარიგებებში, რადგან ის ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მათი მომხმარებლისთვის გადაცემამდე.

სახელშეკრულებო ნაშთი

სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლისგან უპირობოდ მიიღება საზღაურის თანხა (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლისგან გადახდა მიიღება ან გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება) ჯგუფის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებები ამონაგებად აღიარდება, როდესაც ჯგუფი შეასრულებს მათ ხელშეკრულების საფუძველზე (ე.ი. მომხმარებელს გადასცემს კონტროლს შესაბამის საქონელზე ან მომსახურებებზე).

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო რწმუნება, რომ ასეთი გრანტი მიიღება და მასთან დაკავშირებული ყველა პირობა დაკმაყოფილდება. როდესაც გრანტი ეხება ხარჯების მუხლს, მისი სისტემატური აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც აღირიცხება ამ გრანტით დასაფარი შესაბამისი დანახარჯები. როდესაც გრანტი უკავშირდება აქტივს, იგი შემოსავლად აღირიცხება თანაბარი ოდენობებით შესაბამისი აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გრანტი განესაზღვრა, როგორც აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში სისტემატიურ და რაციონალურ საფუძველზე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთის შემცირებული ხარჯის გათვალისწინებით. ჯგუფის არაფულადი ფორმით, კერძოდ მიწის ნაკვეთების გადაცემის გზით განხორციელებული სახელმწიფო გრანტი თავდაპირველად აღირიცხა სამართლიანი ღირებულებით და შესულია გადავადებულ შემოსავალში (მე-20 შენიშვნა).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში „შემოსავლის აღიარება“ ზემოთ.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების გამოსამუშავებლად. ეს ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად. ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა მათი ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტი);
- მოგება-ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალური კატეგორიაა, რაც მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უპირატესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ზარალს ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომლებიც მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით არ აღირიცხება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება როგორც სხვაობა სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი და დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. საკრედიტო რისკებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საწყისი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენისთვის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა. საკრედიტო რისკისთვის, რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა საწყისი აღიარების შემდეგ საჭიროა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ ვადაზე, მიუხედავად გაუქმების პერიოდისა (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის არსებობის მთლიანი ხანგრძლივობა). სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად ჯგუფი გამარტივებულ მეთოდს იყენებს. შესაბამისად, ჯგუფი არ აკონტროლებს საკრედიტო რისკის ცვლილებას. ამის ნაცვლად ის აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეიმუშავა სარეზერვო მატრიცა საკრედიტო ზარალის მის განვლილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც მის დებიტორებს და ეკონომიკური გარემოს მომავალ ფაქტორებს ერგება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ვალდებულებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს, ვითარებიდან გამომდინარე.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების, ნასესხები სახსრებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთვის პირდაპირ მიკუთვნებადი საოპერაციო დანახარჯები. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური ვალდებულებები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება (სესხები და ნასესხები სახსრები)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ ვალდებულებებს და ისეთ ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც საწყისი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით შეფასდა მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება ხდება სავაჭროდ გამიზნულის კატეგორიაში, თუ მათი გაწევა ხდება უახლოეს მომავალში გადაყიდვის მიზნით. ეს კატეგორია ასევე მოიცავს ჯგუფთან გაფორმებულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული ჰეჯირების ინსტრუმენტად ფასს (IFRS) 9-ში დადგენილი ჰეჯირების ურთიერთობებში. განცალკევებული ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებიც კლასიფიცირდება სავაჭროდ გამიზნულად, თუ ისინი ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტებს წარმოადგენს.

საწყისი აღიარებისას მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები განისაზღვრება აღიარების საწყის თარიღში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფასს (IFRS) 9-ის კრიტერიუმებია დაკმაყოფილებული. ჯგუფს არ განუსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება (სესხები და ნასესხები სახსრები)

ეს არის ჯგუფისთვის ყველაზე რელევანტური კატეგორია. საწყისი აღიარების შემდეგ პროცენტული სესხები და ნასესხები სახსრები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც წყდება ვალდებულებების აღიარება, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია ფინანსურ დანახარჯებშია შესული. ეს კატეგორია ძირითადად ვრცელდება სესხებსა და ნასესხებ სახსრებზე და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და პროცენტიან მოკლევადიან ანაზღაურებს მაქსიმუმ სამი თვის ვადით, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა, დაგროვილი გაუფასურების ზარალი და სახელმწიფო გრანტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამგვარი ხარჯი მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების თვითღირებულებას, ამ ხარჯის გაწევისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება გაუფასურების მიზნით, როცა მოვლენები ან ცვლილებები ვითარებებში მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საბალანსო ღირებულება ვერ ანაზღაურდება. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ფარგლებში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და ისინი შედის საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წლები
შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	3-10
ადჭურვილობა და ავეჯი	3-20
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა გასვლის ამონაგებსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აქტივის წლიური ტესტირებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდიდება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ამგვარი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით, იმ აქტივების კოტირებული ფასებით, რომლებიც საჯაროდ იყიდება ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც განაწილებულია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა მანამდე გადაფასებული ქონებისა, რომლის გადაფასების რეზერვიც აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების აღიარება სხვა სრულ შემოსავალში მოხდება ნებისმიერი მანამდე მომხდარი გადაფასების თანხამდე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობდეს ან შემცირებულია. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურები ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა ცვეთის გამოკლებით წინა წლებში აქტივის გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი გაუქმების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუქმება აღირიცხება როგორც აფასება.

გადასახადებით დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოუშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის პარტნიორზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა საოპერაციო ხარჯები.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული დანახარჯები აღირიცხება, როგორც:

- ნედლეული: შესყიდვის ფასი საშუალო შეწონილი თვითღირებულების მეთოდის საფუძველზე;
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: პირდაპირი მასალების და შრომის თვითღირებულება და საწარმოო ზედნადები ხარჯების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეული საქმიანობის პროცესში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შესახებ შენიშვნებში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად ჯგუფის სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ქართულ ლარში საანგარიშგებო თარიღში საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტირებით მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალის ფარგლებში.

სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია მოგება-ზარალში საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალის ფარგლებში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2,7020 ლარი და 3,0976 ლარი აშშ დოლართან მიმართებით და 2,8844 და 3,5040 ლარი ევროსთან მიმართებით, შესაბამისად.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2022 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური მიდგომა“
- „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ - ბასს (IAS) 16-ის ცვლილება
- „წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - ბასს (IAS) 37-ის ცვლილება
- ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - შვილობილი საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“
- ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები“.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული:

- ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხოვრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 15-ს, ფასს (IFRS) 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.
- ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ - ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და გამოიყენება რეტროსპექტულად.
- ბასს (IAS) 8-ის ცვლილება: „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“ - ძალაშია 2023 წლის 1 იანვრით დაწყებული და შემდგომი წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება ცვლილებაზე სააღრიცხვო შეფასებებში, რომლებიც ამ პერიოდის დასაწყისში ან შემდგომ პერიოდებში წარმოიშობა.
- ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ: „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ - ვრცელდება 2023 წლის 1 იანვრით დაწყებულ ან შემდგომ ყოველწლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება.
- ბასს (IAS) 12-ის ცვლილება: „ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“ - ვრცელდება ოპერაციებზე, რომლებიც წარმოიშობა წარმოდგენილი შედარებადი პერიოდის დაწყებისას ან ამ თარიღის შემდეგ.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ახალ სტანდარტებს არსებითი გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. შეფასებების და განსჯის გამოყენება

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, თანდართულ განმარტებით შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. შეფასებების და განსჯის გამოყენება (გაგრძელება)

(i) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად ჯგუფი ანარიცხების მატრიცას იყენებს. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების (ე.ი. გეოგრაფიული რეგიონი, პროდუქტის ტიპი, მომხმარებლის ტიპი და რეიტინგი, დაფარვა აკრედიტივების და საკრედიტო დაზღვევის სხვა ფორმის მიხედვით) მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე.

ანარიცხების მატრიცა თავდაპირველად ეფუძნება ჯგუფის განვლილ ხილულ გადაუხდელობის განაკვეთს. ჯგუფი მოახდენს მატრიცის დაკალიბრებას საკრედიტო ზარალის გამოცდილების საპროგნოზო ინფორმაციაზე მორგების მიზნით. მაგალითად, თუ მოსალოდნელია საპროგნოზო ეკონომიკური პირობების (მაგ. მთლიანი შიდა პროდუქტი) გაუარესება მომდევნო წლის განმავლობაში, რაც გამოიწვევს დეფოლტების მზარდ რაოდენობას სამეწარმეო სექტორში, დეფოლტის განვლილი მაჩვენებლები დაკორექტირდება. ყოველ საანგარიშგებო თარიღში ახლდება წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის განაკვეთები და ანალიზდება ცვლილებები პერსპექტიულ შეფასებებში. ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით, მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშვნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	აღჭურვილობა და ავეჯი	ავტოსატრანს- პორტო საშუალებები	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	სულ
დანახარჯები							
2020 წლის 31 დეკემბერი	390	4,087	546	2,033	312	17,474	24,842
შესყიდვები	–	–	–	–	–	13,563	13,563
სახელმწიფო გრანტების მიღება	–	(1,580)	–	–	–	(525)	(2,105)
რეკლასიფიკაცია	601	21,304	912	1,828	366	(25,011)	–
გასვლები	–	(5)	(66)	(11)	–	(7)	(89)
2021 წლის 31 დეკემბერი	991	23,806	1,392	3,850	678	5,494	36,211
შესყიდვები	553	40	1,155	559	159	1,105	3,571
რეკლასიფიკაცია	–	54	246	1,869	–	(2,169)	–
გასვლები	–	–	–	(10)	–	–	(10)
2022 წლის 31 დეკემბერი	1,544	23,900	2,793	6,268	837	4,430	39,772
დაგროვილი ცვეთა							
2020 წლის 31 დეკემბერი	–	(333)	(226)	(777)	(47)	–	(1,383)
ცვეთის დანარიცხი	–	(824)	(83)	(411)	(59)	–	(1,377)
გასვლები	–	–	24	15	–	–	39
2021 წლის 31 დეკემბერი	–	(1,157)	(285)	(1,173)	(106)	–	(2,721)
ცვეთის დანარიცხი	–	(1,152)	(208)	(541)	(104)	–	(2,005)
გასვლები	–	–	–	4	–	–	4
2022 წლის 31 დეკემბერი	–	(2,309)	(493)	(1,710)	(210)	–	(4,722)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერი	390	3,754	320	1,256	265	17,474	23,459
2021 წლის 31 დეკემბერი	991	22,649	1,107	2,677	572	5,494	33,490
2022 წლის 31 დეკემბერი	1,544	21,591	2,300	4,558	627	4,430	35,050

2021 წელს ჯგუფმა აღიარა სახელმწიფო გრანტი 2,105 ლარის ოდენობით, როგორც საოფისე შენობის და საწარმოო ობიექტების საბალანსო ღირებულების შემცირება, რომლებიც 2021 წლის მაისში შევიდა ექსპლუატაციაში. სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფო უწყების მიერ „თიბისი ბანკის“ სესხზე (იხ. მე-11 შენიშვნა) პროცენტის დასაფარად გაცემულ ანაზღაურებას. კომპანია ამგვარ სახელმწიფო გრანტს აქტივებთან დაკავშირებულ გრანტად მიიჩნევს. ამგვარი ანაზღაურება წელიწადში 10% და 11%-ით იზღუდება, ასევე განსაზღვრულია ლიმიტები ერთიან გადახდებზე. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი აკმაყოფილებდა სახელმწიფო გრანტის პირობებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. მარაგები

	2022	2021
მზა პროდუქცია	3,556	2,789
კანის მოვლის და სხვა საქონელი გადასაყიდად	7,103	2,013
ნედლეული	2,647	1,325
დაუმთავრებელი სამუშაო	2,104	1,292
სხვა მარაგები	505	228
სულ მარაგები	15,915	7,647

7. გაცემული სესხები

	2022	2021
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე გაცემული ევროში გამოხატული სესხი	987	1,226
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე გაცემული ლარში გამოხატული სესხი	30	67
სულ გაცემული სესხები	1,017	1,293
მოკლევადიანი	251	67
გრძელვადიანი	766	1,226

2021 წელს ჯგუფმა გასცა უპროცენტო სესხი საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე 1,444 ლარის ოდენობით (400 ათასი ევროს ეკვივალენტი) და მისი დაფარვის ვადა 2024 წლის 30 ივნისია. განხორციელდა სესხის დისკონტირება ბაზრის საშუალო საპროცენტო განაკვეთით - წლიური 6,7% და საწყისი აღიარებისას 205 ლარის ოდენობით ზარალი აღიარდა პირდაპირ საკუთარ კაპიტალში, რადგან ეს სესხი აღირიცხა, როგორც გარიგება აქციონერების უფლებამოსილების ფარგლებში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
მესამე მხარეებისგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნები	13,237	10,545
დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნები (მე-18 შენიშვნა)	4,936	4,996
სახელმწიფო საგრანტო მოთხოვნები	408	1,026
	18,581	16,567
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,718)	(1,788)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,863	14,779
მოკლევადიანი	16,863	14,417
გრძელვადიანი	-	362

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში შემდეგი მოძრაობა განხორციელდა:

	2022	2021
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 1 იანვრის მდგომარეობით	1,788	947
წლის დანარიცხები	776	841
ჩამოწერა	(846)	-
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,718	1,788

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. საფაქრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკის ზომა ჯგუფის ფინანსურ მოთხოვნებზე იყო შემდეგი:

2022 წლის 31 დეკემბერი	არც ვადაგადა- ცილებული და არც გაუფასურებული	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	90-180 დღე	>180 დღე	>360	მთლიანი
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %	–	0.1%	4.1%	15.3%	30.5%	67.1%	98.8%	
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	10,103	4,863	524	587	986	626	892	18,581
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	(5)	(21)	(90)	(301)	(420)	(881)	(1,718)
სულ ფინანსური მოთხოვნები, წმინდა	10,103	4,858	503	497	685	206	11	16,863
2021 წლის 31 დეკემბერი	არც ვადაგადა- ცილებული და არც გაუფასურებული	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	90-180 დღე	>180 დღე	>360	მთლიანი
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი %	–	3.0%	5.6%	12.5%	38.3%	80.2%	99.3%	
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	8,885	4,275	576	193	1,466	628	544	16,567
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	(127)	(32)	(24)	(561)	(504)	(540)	(1,788)
სულ ფინანსური მოთხოვნები, წმინდა	8,885	4,148	544	169	905	124	4	14,779

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ მოცემული საბალანსო ღირებულება გონივრულ ფარგლებში მათ სამართლიან ღირებულებას იყო მიახლოებული. გადახდის პირობები 30-დან 180 კალენდარულ დღეში ხვდება.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022	2021
ფულადი სახსრები ბანკში	2,362	13,082
ნაღდი ფული	–	24
საბანკო მოთხოვნამდე ანაზრები	–	18
მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,362	13,124

ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მეტწილად მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში. ხელმძღვანელობა არ მოელის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ბანკის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალს და არ არსებობს არსებითი სხვაობა მათ სააღრიცხვო და სამართლიან ღირებულებებს შორის. 2022 წელს ჯგუფმა აღიარა ფინანსური შემოსავალი 37 ლარის ოდენობით ბანკის ანგარიშებზე, მათ შორის საბანკო ანაზრები, 1,5%-დან 8,0%-მდე განაკვეთით (2021 წ.: 82 ლარი, 1,5თ-დან 8,0%-მდე განაკვეთით).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. სესხები და ნასესხები სახსრები

	დაფარვის ვადა	ვალუტა	განაკვეთი	2022	2021
„თიბისის“ სესხი 1	4-მარ-2023	ლარი	3.8%+სებ-ის განაკვეთი	1,303	5,000
„თიბისის“ სესხი 2	3-სექ-2026	ლარი	3.8%+სებ-ის განაკვეთი	5,000	5,000
„თიბისის“ სესხი 3	20-აპრ-2024	ევრო	5.0%	868	1,798
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხი	22-აპრ-2024	ევრო	5.0%	467	969
„თიბისის“ საკრედიტო ხაზი	18-ნოე-2023	ევრო	5.4%+სებ-ის განაკვეთი	2,884	–
დარიცხული პროცენტი				70	96
სულ სესხი და ნასესხები სახსრები				10,592	12,863
მოკლევადიანი				5,551	4,974
გრძელვადიანი				5,041	7,889

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში იყო შემდეგი:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	12,863	10,075
მიღებული სესხები	2,820	4,167
გადახდილი ძირითადი თანხა	(4,680)	(777)
დარიცხული პროცენტი	1,401	1,416
გადახდილი პროცენტი (კაპიტალიზებული ნასესხები სახსრების ჩათვლით)	(1,387)	(1,396)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	(425)	(622)
31 დეკემბრის მდგომარეობით	10,592	12,863

ჯგუფის სესხის ხელშეკრულებები მოიცავდა სხვადასხვა შემზღუდველ პირობას და ფინანსურ კოეფიციენტებს, რომლებიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია შეჯამებული:

	„თიბისის“ სესხები	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხი
ფინანსური ვალდებულებების EBITDA-სთან ფარდობის კოეფიციენტი	<= 3.0	<= 2.5
სესხის მომსახურების კოეფიციენტი (EBITDA-ს საფუძველზე)	> 1.3	> 1.3
სესხის მომსახურების კოეფიციენტი (EBITDA-ს საფუძველზე)	> 1.05	> 1.2
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	მითითებული არ არის	> 3.0

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი აკმაყოფილებდა შემზღუდველი ვალდებულებების და ფინანსური კოეფიციენტების მოთხოვნებს.

11. საკუთარი კაპიტალი

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი 0,2 ლარს შეადგენდა, რომელიც ნულამდე დამრგვალდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის და საკუთარი კაპიტალის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს გაუნაწილებელ მოგებას. 2022 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 337 ლარის დივიდენდები (2021 წ.: 832 ლარი). 2022 წელს კომპანიამ დივიდენდებზე დარიცხა 59 ლარის ოდენობით მოგების გადასახადის დანარიცხი, ხოლო შვილობილ საწარმოებში ინვესტიციებსა და მათზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით 534 ლარი აღრიცხა, როგორც განაწილებები საგადასახადო მიზნებისთვის (2021 წ.: 147 ლარი და 162 ლარი, შესაბამისად)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

ჯგუფი არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული კაპიტალის მოთხოვნების საგანს და არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკები.

2021 წელს ჯგუფმა გასცა უპროცენტო სესხი საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე 1,444 ლარის ოდენობით (400 ათასი ევროს ეკვივალენტი) და მისი დაფარვის ვადა 2024 წლის 30 ივნისია. განხორციელდა სესხის დისკონტირება ბაზრის საშუალო საპროცენტო განაკვეთით - წლიური 6,7% და საწყისი აღიარებისას 205 ლარის ოდენობით ზარალი აღიარდა პირდაპირ საკუთარ კაპიტალში, რადგან ეს სესხი აღირიცხა, როგორც გარიგება აქციონერების უფლებამოსილების ფარგლებში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის რეზერვი

საკუთრო სხვაობის რეზერვი გამოიყენება კომპანიის შვილობილ საწარმოებთან დაკავშირებული საკუთრო სხვაობების დასაგროვებლად, როდესაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა განსხვავდება სამუშაო ვალუტისგან.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულება მესამე მხარეების მიმართ	3,903	815
სავაჭრო ვალდებულება დაკავშირებული მხარეებისგან (მე-18 შენიშვნა)	292	39
სხვა ვალდებულება	145	55
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	4,340	909

13. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2022	2021
საქონლის და მომსახურების ტიპი		
ამონაგები სახის და ტანის მოვლის საშუალებების გაყიდვიდან	39,765	37,649
ამონაგები კანის მოვლის და სხვა საქონლის გადაყიდვიდან	16,184	6,840
სხვა ამონაგები	573	506
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	56,522	44,995
გეოგრაფიული ბაზრები		
ევროპა	35,458	24,441
აზია	15,070	15,791
აფრიკა	2,393	2,240
ამერიკა	2,332	717
აფსტრალია	696	1,300
სულ ამონაგები სახის და ტანის, კანის მოვლის და სხვა საქონლის საშუალებების გაყიდვიდან	55,949	44,489

ჯგუფის მთლიანი ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან აღიარებულია დროის განსაზღვრულ პერიოდში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)**სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები**

ჯგუფმა აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	16,455	13,753
მიღებული ავანსები	(1,561)	(16)

ჯგუფი ფასს (IFRS) 15.121-ში განსაზღვრულ პრაქტიკულ მიდგომას იყენებს და არ გასცემს ინფორმაციას შესასრულებელ ვალდებულებებზე გარიგების ფასის განაწილების მთლიანი თანხის შესახებ, რომლებიც არ არის დაკმაყოფილებული, ხოლო საბაზისო ხელშეკრულებების თავდაპირველი მოსალოდნელი ხანგრძლივობა ერთ წელზე ნაკლებია.

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დასაქმებულთა გასამრჯელოები	12,231	7,168
საკონსულტაციო სერვისები	2,098	418
ცვეთა და ამორტიზაცია	1,970	1,375
მივლინება	1,676	440
კომუნალური დანახარჯები	858	520
ქონების გადასახადი	309	273
რემონტი და ტექნომსახურება	282	519
სხვა ხარჯები	4,319	1,782
მთლიანი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23,743	12,495

15. მარკეტინგული ხარჯები

	2022	2021
გამოფენები და დაკავშირებული ხარჯები	1,763	1,759
სარეკლამო და წამახალისებელი კამპანიები	2,911	1,503
სწავლების ხარჯები	980	1,255
სულ მარკეტინგული ხარჯები	5,654	4,517

16. ცვეთა, ამორტიზაცია და მარაგების თვითღირებულება

	2022	2021
გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შესული		
ცვეთა და ამორტიზაციის დანარიცხი	35	7
დასაქმებულთა გასამრჯელოები	1,019	658
კანის მოვლის და სხვა საქონლის გადაყიდვის თვითღირებულება	12,837	4,897
ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულება	7,161	4,326
საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში შესული		
ცვეთა და ამორტიზაციის დანარიცხი (მე-14 შენიშვნა)	1,970	1,375
დასაქმებულთა გასამრჯელოები (მე-14 შენიშვნა)	12,231	7,168
ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულება	532	339

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკები

ჯგუფის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტების და სხვა კონტროლების საფუძველზე. რისკების მართვის ეს პროცესი კრიტიკული მნიშვნელობის არის ჯგუფის მიმდინარე მომგებიანობისთვის და ჯგუფის შიგნით თითოეული პირი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის სფეროში რისკების მართვაზე. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიც არის გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. ისინი კონტროლდება ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

17.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფს საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად ფინანსური მოთხოვნები) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ფულადი სახსრებისა და ანაზღაურების, სავალუტო გარიგებებიდან და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე.

ინფორმაცია საკრედიტო რისკის მოცულობის შესახებ ჯგუფის ფინანსურ დებიტორულ დავალიანებასთან მიმართებით აღწერილია მე-8 შენიშვნაში, ხოლო ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის - მე-9 შენიშვნაში.

17.2 ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

2022 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო დირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-10 შენიშვნა)	10,592	12,586	1,904	4,729	5,953
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-12 შენიშვნა)	4,340	4,340	4,340	–	–
	14,932	16,926	6,244	4,729	5,953
2021 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო დირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
სესხები და ნასესხები სახსრები (მე-10 შენიშვნა)	12,863	16,107	811	5,522	9,774
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-12 შენიშვნა)	909	909	909	–	–
	13,772	17,016	1,720	5,522	9,774

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკები (გაგრძელება)

17.3 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სამი ტიპის რისკებს: საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკსა და სხვა საფასო რისკს, როგორც არის საკუთარი კაპიტალის ფასის რისკი და სასაქონლო რისკი. ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მეტწილად სავალუტო რისკი მოქმედებს. სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია აშშ დოლარის/ევროს და ლარის გაცვლითი კურსის გონივრულად მოსალოდნელი ცვლილების გავლენა, დაბეგვრის შემდგომ მოგებაზე 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, სხვა ფაქტორების უცვლელად შენარჩუნების პირობებში:

	ცვლილება აშშ დოლარის და ლარის გაცვლით კურსში	ეფექტი დაბეგვრამდე მოგებაზე	ცვლილება ევროს/ლარის გაცვლით კურსში	ეფექტი დაბეგვრამდე მოგებაზე
2022 წლის 31 დეკემბერი	+20.00%	684	+20.00%	2,959
	-20.00%	(684)	-20.00%	(2,959)
2021 წლის 31 დეკემბერი	+14.00%	47	+14.00%	3,593
	-6.00%	(20)	-6.00%	(1,540)

17.4 სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ბალანსის თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო, რაც მეტწილად აიხსნება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოკლევადიანი ხასიათით ან სესხებისა და ნასესხები სახსრების მცოცავი საპროცენტო განაკვეთებით. ყველა სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონით, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ელ დონეს განეკუთვნება.

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე ან მხარეები იყვნენ ერთი ჯგუფის შვილობილი საწარმოები. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის. ყველა ოპერაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპის საფუძველზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა და ჯგუფის დაუფარავი ნაშთები შემდეგი იყო:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,936	4,996
გაცემული სესხები	1,017	1,293
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	(292)	(39)
მიღებული ავანსები	(474)	–
	2022	2021
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(10,074)	(9,997)
ამონაგები	733	–
ქველმოქმედების ხარჯები (სხვა საოპერაციო ხარჯები)	164	203
ძირითადი საშუალებების შეძენა		

2022 წელს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წარმოდგენილი იყო 6 თანამშრომლით, ხოლო მათმა მთლიანმა ანაზღაურებამ 2,394 ლარი შეადგინა (2021 წ.: 5 თანამშრომელი, 1,856 ლარი), რომელიც კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში იყო შესული.

19. გადავადებული შემოსავალი

2018 წელს ჯგუფმა სახელმწიფოსგან უფასოდ (გადახდილია 1 ლარი) მიიღო 10,000 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი თბილისის ორხევის დასახლებაში. ჯგუფი ვალდებული იყო აეშენებინა ობიექტები მოწინავე საწარმოო პროცესის, მათ შორის სტერილიზაციისთვის. ჯგუფმა ამ მიწის ნაკვეთის სამართლიანი ღირებულება 390 ლარით განსაზღვრა, რომელიც პირობით ღირებულებად იქნა მიჩნეული და ასევე აღიარდა, როგორც იმავე რაოდენობის გადავადებული შემოსავალი.

20. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2023 წლის აპრილის თვეში კომპანიამ ახალი შვილობილი საწარმო დააფუძნა ჰონგ კონგში სახის და ტანის მოვლის საშუალებების გასავრცელებლად და განახორციელა 141 ლარის ინვესტიცია (52 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი).

შპს „აპტოს“ (ს/ნ 202353602) მართველობითი კონსოლიდირებული ანგარიშგება 2022 წელი

1. ორგანიზაციის ისტორია, ბიზნეს განვითარება და საქმიანობა

შპს „აპტოს“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იქნა 2006 წლის 2 ოქტომბერს. კომპანიის დამფუძნებლები არიან მარლენ სულამანიძე და გიორგი სულამანიძე. „აპტოსი“ არის სახისა და სხეულის გადასაჭიმი მსოფლიოში ცნობილი აპტოსის ძაფების გამომგონებელი და მწარმოებელი ქართული კომპანია. 27 წლიანი ისტორია 1996 წელს იწყება, როდესაც ექიმმა მარლენ სულამანიძემ გამოიგონა მსოფლიოში პირველი კბილანებიანი ძაფი [barbed thread], რამაც ჩაუყარა საფუძველი ესთეტიკური მედიცინის ახალ მიმართულებას - ძაფებით ლიფტინგს - thread lifting. აპტოსს ეკუთვნის პირველი საერთაშორისო პატენტი და სერიული წარმოების ლიცენზია კოსმეტიკურ ძაფზე ესთეტიკური მედიცინის მიმართულებით.

აპტოსი თავისი არსით, განიმარტება როგორც „ანტი პტოსის“, ანუ სიბერის პროცესის საწინააღმდეგო, რაც პროდუქტისა და შეთავაზების დონეზე არის ესთეტიკური მედიცინის ძაფები და მათი გამოყენების მეთოდი. მან თავის დროზე რადიკალურად შეცვალა ესთეტიკური მედიცინის მიმართულება და ფართოდ დაამკვიდრა ე.წ. უსისხლო პროცედურები, მცირე ინვაზია. რაც ნიშნავს რომ ვიზუალის გასაახალგაზრდავებლად კანქვეშ შეყავთ კბილანებიანი ძაფი, რომელიც მოქაჩვის შემდეგ ჭიმავს კანს და აკორექტირებს სხეულს ქირურგიული ჩარევის გარეშე. 27 წლიანი ისტორიის მანძილზე აპტოსმა 30-მდე სხვადასხვა ძაფი და 50-მდე მეთოდი შექმნა, რომელთა დიდ ნაწილი საერთაშორისო პატენტების მფლობელია.

ამ ინოვაციური გამოგონების ავტორი გამოჩენილი ქართველი ექიმი, მარლენ სულამანიძეა. დღეს მის მიერ შექმნილი ძაფების მსოფლიო ინდუსტრია დიდია და ის ყოველწლიურად იზრდება ისევე როგორც თვით მცირე ინვაზიური მეთოდის პოპულარობა. უშუალოდ აპტოსის ბრენდის ძაფების დისტრიბუცია კი 70-ზე მეტ ქვეყანაში ხდება და მას როგორც ინოვატორს და როგორც დღემდე ტექნოლოგიურ ფლაგმანს, წამყვანი როლი უჭირავს ინდუსტრიაში.

2. საზოგადოების მმართველობა

საზოგადოების გენერალური დირექტორია გიორგი სულამანიძე რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებელს, კომპანიაში 2019 წელს შეიქმნა ასევე აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი გიორგი სულამანიძე, დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში არიან დირექტორის მოადგილეები გიორგი ლუკიანცევი და ალბინა ქაჯაია რომელიც კონკრეტულად ადგილობრივ გაყიდვებს ხელმძღვანელობს. დირექტორთა საბჭო ეტაპობრივად იკრიბება და განიხილავს კომპანიის სტრატეგიულ საკითხებს. კომპანიის მართვაში და ყოველდღიურ ოპერატიულ საკითხებს ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს წევრი და გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი ლუკიანცევი.

3. ფილიალები და შეთავაზებული საქონელი/პროდუქცია

2021 წელს საზოგადოებამ დისტრიბუციის და ევროპაში რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით გერმანიაში დააფუძნა შვილობილი კომპანია, რომლის 100% იანი დამფუძნებელი არის შპს „აპტოსი“. ასევე, 2022 წელს დაფუძნდა კიდევ ერთი შვილობილი კომპანია არაბთა გაერთიანებულ საამიროში. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს 30 ამდე სახეობის ესთეტიკურ ძაფებს, ძაფები შიანარსის მიხედვით იყოფა გაწოვად და გაუწოვად ძაფებად, გაწოვადი ძაფები იწარმოება პოლირმემჟავსგან და კაპროლაქტონისგან რომლებიც უზრუნველყოფს და ასტიმულირებს კოლაგენს და ელასტინს რომლის საბოლოო შედეგია კანის გაახალგაზრდავება, გაწოვადი ძაფების ეფექტის ხანგრძლივობა შეადგენს 1.5 წლიდან 2 წლამდე. გაუწოვადი ძაფი იწარმოება პოლიპროფილენისგან რომელიც გამოიყენება ქირურგიაში 70 წელზე მეტია უკვე და არ გააჩნია არანაირი ალერგიული უკუქმედება პაციენტების მხრიდან, გაუწოვადი ძაფები გამოიყენება რბილი ქსოვილების გადასაჭიმად, რომლის სამკურნალო ეფექტი არის 4-5 წელი.

4. კომპანიის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა და მომავალი განვითარების გეგმები

ჯგუფის საქმიანობის და პროდუქციის სპეციფიკიდან გამომდინარე გააჩნია მკაცრი მოთხოვნები, დაიცვას პროდუქციის ხარისხი, უსაფრთხოება და უზრუნველყოს წარმოების ისეთი სტანდარტები რომლებიც მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოებას განაპირობებს. ამჟამად ძაფების წარმოება ხდება საქართველოში ქალაქ თბილისში, არასტერილური პროდუქტის ნახევარფაბრიკატი იგზავნება გერმანიაში სადაც ხდება ძაფის გასტერილიზება და სტერილური ძაფი დასრულებული ფორმით ბრუნდება საქართველოში საიდანაც შემდგომ ხდება ექსპორტირება მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში როგორც იმპორტიორი ქვეყნის ექსკლუზიური დისტრიბუტორების მეშვეობით ასევე ჩვენს მიერ 2018 წლის დეკემბრის თვეში გერმანიაში დაფუძნებული შვილობილი კომპანიის საშუალებით რომლის წილი ამ ეტაპზე ძალზედ მცირეა. პროდუქციის ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე შეტანის ნებართვისათვის სახელმწიფო ოფიციალური ორგანოებს გააჩნიათ განსხვავებული მოთხოვნები, უნდა მოხდეს პროდუქციის ტესტირება, კვლევა და დადასტურება იმისა რომ საქონელი აკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში და მიღებულია ლიცენზია პროდუქტის ბაზარზე რეალიზების შესახებ, ამჟამად რეგისტრაციის პროცედურები მიმდინარეობს მსოფლიოს 4 უდიდესი ბაზრის მქონე ქვეყნებში როგორებიცაა: ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, კანადა და ბრაზილია, აღნიშნულ კვლევა პროცესში დახარჯული თანხების ოდენობა აღემატება 1 მილიონ დოლარზე მეტს. აშშ-ში ან ჩინეთში მიღებული ლიცენზია კომპანიის მთლიან რეალიზაციას მინიმუმ 50% გაზრდის ხოლო კანადაში ან ბრაზილიაში მიღებული ლიცენზიის შემთხვევაში კომპანიის ჯამური ბრუნვა დაახლოებით 25% ით გაიზრდება. კომპანიამ აწარმოე საქართველოს ფარგლებში 2018 წელს სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიიღო 10,000 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი ქალაქ თბილისში ორხევის დასახლებაში, იმ პირობით რომ კომპანია ააშენებს თანამედროვე დონის საწარმოს და პროდუქციის სრული პროცესი სტერილიზების ჩათვლით განხორციელდება ადგილზევე ამ საწარმოში. საწარმოს მშენებლობა დასრულდა 2021 წლის 31 მაისს.

რაც შეეხება ფინანსურ გავლენას ჯგუფზე 2022 წელს 2021 თან შედარებით 26% იანი ზრდა აჩვენა შემოსავლების კუთხით, მენეჯმენტი ვარაუდობს რომ ზრდის ტემპი შენარჩუნდება, რადგან ახალი ბაზრების ათვისებასთან ერთად გაიზრდება შემოსავალი. აღსანიშნავია ის გარემოება რომ 2020 წლის 27 აგვისტოს გაუწოვად ძაფებზე კომპანიამ მიიღო ნებართვა ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური უწყებიდან რომ კომპანიის მიერ წარმოებული გაუწოვადი პროდუქტი აკმაყოფილებს შეერთებული შტატების ოფიციალური ორგანოების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს, შესაბამისად შესაძლებელია მისი რეალიზება ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე, აღნიშნული ნებართვის გაწოვად ძაფებთან მიმართებაში მიღების შემთხვევაში რომელსაც მომდევნო წელს ვვარაუდობთ კომპანია გაცილებით დიდ მასშტაბებზე გავა რაც მინიმუმ პირველივე წელს 25% ით გაზრდის პროდუქციის გაყიდვებს.

მიმდინარე პერიოდში გაორმაგებულია ჯგუფის ადმინისტრაციული ხარჯები საერთაშორისო ბაზარის მეტად ათვისების მიზნით, რის შედეგადაც მიმდინარე პერიოდში ჯგუფის წმინდა მოგება შემცირებულია. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვჯერა, რომ გაწეული ხარჯები სრულად კომპენსირდება მომავალ პერიოდებში ახალი ბაზრებიდან მიღებული შემოსავლების მიერ.

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	56,522	44,995
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(19,324)	(9,888)
საერთო მოგება	37,198	35,107
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(23,743)	(12,495)
მარკეტინგის ხარჯი	(5,654)	(4,517)
დისტრიბუციის ხარჯი	(852)	(787)
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	(776)	(841)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	659	773
სხვა საოპერაციო ხარჯი	(747)	(153)
საოპერაციო მოგება	6,085	17,087
ფინანსური შემოსავალი	93	178
ფინანსური ხარჯი	(1,401)	(911)
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა ეფექტი	(4,104)	(2,568)
მოგება დაბეგვრამდე	673	13,786
მოგების გადასახადი	(593)	(309)
წლის წმინდა მოგება	80	13,477
სხვა სრული შემოსავალი		
ვალუტის გადაფასების რეზერვი უცხოური შვილობილი კომპანიისთვის	(235)	(756)
სულ წლის მთლიანი მოგება/(ზარალი)	(155)	12,721

ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 17.1 კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში

ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში

ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში

გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური

საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფი არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული. რაც შეეხება ცვალებად განაკვეთს რომელიც მიზნულია ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთზე მნიშვნელოვანი წილის 10-11 პროცენტის სუბსიდირება ხდება სახელმწიფოს მიერ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 17.2 კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 17.3 კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში



გენერალური დირექტორი
გიორგი სულამანიძე

2-ოქტომბერი-2023